

სალომე გელაშვილი, ISET-ის კვლევითი ინსტიტუტი
სალომე დეისაძე, ISET-ის კვლევითი ინსტიტუტი
ელენე სეთურიძე, ISET-ის კვლევითი ინსტიტუტი
ნოემბერი, 2022


საქართველოს ღვინის სექტორის მიმოხილვა

საქართველო ღვინის სამშობლოა – ქვეყანაში მეღვინეობის ტრადიცია 8000 წელს ითვლის. ავტორებმა ამ მიმოხილვაში საქართველოში ღვინის სექტორის ძირითადი მახასიათებლები, სექტორთან დაკავშირებული სახელმწიფო პოლიტიკა და ამ პოლიტიკის ძირითადი შედეგები გააანალიზეს. მიმოხილვაში წარმოდგენილია რეკომენდაციები, თუ როგორ უნდა მოხდეს სექტორის მდგრადი განვითარების უზრუნველყოფა კონკურენტულ, დინამიკურ გარემოში.

შესავალი

საქართველო ღვინის სამშობლოა – ქვეყანაში მეღვინეობის ტრადიცია 8000 წელს ითვლის. შესაბამისად, ქართულ მეღვინეობას უამრავი ტრადიცია უკავშირდება. ერთ-ერთი მათგანია „რთველი“ – ყურძნის მოსავლის აღება, რომელიც სექტემბერში იწყება და მთელი შემოდგომა გრძელდება საზეიმო ღონისძიებების თანხლებით. ღვინის ეროვნული სააგენტოს მონაცემების თანახმად, საქართველოში წლიურად, საშუალოდ, 223,6 ათასი ტონა ყურძენი გადამუშავდება (ბოლო ათი წლის განმავლობაში), უდიდესი ნაწილი კი ღვინის დასაწურად გამოიყენება (დიაგრამა 1).

დიაგრამა 1. ყურძნის გადამუშავება (2013-2021)




წყარო: ღვინის ეროვნული სააგენტო

შენიშვნა: რთველში ღვინის ყველა მწარმოებელი არ იღებს მონაწილეობას და, შესაბამისად, ყოველწლიურად ქვეყანაში გადამუშავებული ყურძნის მთლიანი რაოდენობა შესაძლოა უფრო მაღალი იყოს, ვიდრე დიაგრამაზეა ნაჩვენები.

ღვინო საქართველოსთვის ერთ-ერთი წამყვანი საექსპორტო პროდუქტია. 2021 წელს ღვინის ექსპორტი საქართველოს სოფლის მეურნეობის მთლიანი საექსპორტო ღირებულების 21%-ს შეადგენდა (საქსტატი, 2022). 2012 წლიდან მოყოლებული ექსპორტირებული ღვინის რაოდენობა წლიურად, საშუალოდ, 21%-ით იზრდებოდა, ღირებულება კი – 22%-ით (დიაგრამა 2). ერთი ტონა ექსპორტირებული ქართული ღვი-

ნის საშუალო ფასი 3 ათასი აშშ დოლარიდან 3,9 ათას აშშ დოლარამდე მერყეობს (დიაგრამა 2). აღსანიშნავია, რომ 2 ლიტრის ან ნაკლები მოცულობის კონტეინერებით ღვინის ექსპორტი, საშუალოდ, მთლიანი ექსპორტის 96%-ს შეადგენს.

დიაგრამა 2. ქართული ღვინის ექსპორტი (2012-2021)



წყარო: საქსტატი, 2022

ქართული ღვინის მთავარ საექსპორტო ბაზარს დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის (დსთ) ქვეყნები წარმოადგენს, სადაც, საშუალოდ, ექსპორტირებული ღვინის 78% გადის (2012-2021 წწ). ევროკავშირის წილი კი, საშუალოდ, 10%-ს შეადგენს. 2021 წლის მონაცემებით, ქართული ღვინის ძირითადი საექსპორტო მიმართულებებია: რუსეთი (55%), უკრაინა (11%), ჩინეთი (7%), ბელარუსი (5%), პოლონეთი (6%) და ყაზახეთი (4%). რუსეთი ჯერ კიდევ ქართული ღვინის ძირითადი საექსპორტო ბაზარია, თუმცა რუსეთში ექსპორტირებული ქართული ღვინის პროცენტული წილი შემცირდა მას შემდეგ, რაც 2006 წელს რუსეთმა ქართულ ღვინოზე ემბარგო დააწესა. ემბარგომ ხელი შეუწყო ბაზრის დივერსიფიკაციას და რუსული ბაზრის ხელახალი გახსნის და რუსეთში ქართული ღვინის დაბრუნების შემდეგაც კი, რუსეთში ექსპორტირებული ღვინის წილი 2005 წლის 87%-დან 2021 წელს 55%-მდე შემცირდა.

მიუხედავად იმისა, რომ საქართველოში 400-ზე მეტი ადგილობრივი ვაზის ჯიშია, მხოლოდ რამდენიმე მათგანის კომერციალიზაცია ხორციელდება სათანადოდ. ექსპორტირებული ღვინოების უმრავლესობა რქაწითელის, მწვანეს, ქისისა და საფერავის ჯიშის ყურძნებისაგან მზადდება (Granik, 2019).

სახელმწიფო პოლიტიკა ღვინის სექტორში

საქართველოს მთავრობა აქტიურად უჭერს მხარს ღვინის სექტორს ღვინის ეროვნული სააგენტოს მეშვეობით, რომელიც 2012 წელს შეიქმნა და გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს დაქვემდებარებაშია. ღვინის ეროვნული სააგენტო საქართველოს მევენახეობის ხელშეწყობის შემდეგ პროგრამებს ახორციელებს: 1) ღვინის წარმოების ხარისხის და სერტიფიცირების პროცედურების კონტროლი; 2) ქართული ღვინის პოპულარიზაცია და ცნობიერების ამაღლება; 3) საექსპორტო პოტენციალის ზრდის ხელშეწყობა; 4) ქართული ღვინისა და ღვინის კულტურის კვლევა-განვითარება; 5) ვენახების ეროვნული რეესტრის შექმნა; და 6) ორგანიზებული რთველის ჩატარება (ღვინის ეროვნული სააგენტო, 2022).


2014-2016 წლებში საქართველოს მთავრობის დანახარჯებმა ღვინის სექტორზე (ყურძნის სუბსიდიების, ქართული ღვინის პოპულარიზაციისა და ცნობადობის ამაღლების კამპანიების ჩათვლით) საშუალოდ 63 მლნ. ლარი ანუ 22.8 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა (2022 წლის 1 ნოემბრის მდგომარეობით, საქართველოს ეროვნული ბანკის მონაცემებით 1 აშშ დოლარი 2.76 ქართულ ლარს შეადგენდა). აღნიშნული დანახარჯების 40-50% ყურძნის სუბსიდიებისთვის გამოიყო ღვინის ეროვნული სააგენტოს მე-6 აქტივობის – ორგანიზებული რთველის მხარდაჭერის ფარგლებში (დიაგრამა 3).

საქართველოს მთავრობა ახორციელებს ორი ტიპის სუბსიდირებას – პირდაპირსა და ირიბს.

პირდაპირი სუბსიდირება გულისხმობს მწარმოებლისთვის ყურძნის ერთ კგ-ზე ფულადი თანხის გადახდას, ხოლო არაპირდაპირი სუბსიდირების შემთხვევაში, ფერმერებისგან ყურძნის შესყიდვა სახელმწიფო საკუთრებაში არსებული კომპანიების გავლით ხდება. 2017 წლიდან საქართველოს მთავრობამ გადაწყვიტა, სუბსიდირების არსებულ სქემაზე უარი ეთქვა, და ღვინის სექტორთან დაკავშირებული ხარჯები შეამცირა. 2018 წელს აღნიშნულმა ხარჯებმა მინიმალური მაჩვენებელი, 9.2 მლნ. ლარი (3.3 მლნ. აშშ დოლარი), შეადგინა. მიუხედავად ამისა, ყურძნის წარმოება გაიზარდა და 2020 წელს უმაღლეს ნიშნულს (317 ათასი ტონას) მიაღწია. 2020 წელს საქართველოს მთავრობამ ღვინის სექტორის მხარდაჭერის მიზნით ყურძნის მოსავლის სუბსიდირება განაახლა ანტიკრიზისული გეგმის ფარგლებში. ანტიკრიზისული გეგმა მიზნად ისახავდა COVID-19-ის პანდემიით გამოწვეული ეკონომიკური გამოწვევების დაძლევას. შესაბამისად, ღვინის სექტორზე განხორციელებული დანახარჯები 2019 წელს არსებული 16.7 მლნ. ლარიდან (დაახლოებით 6 მლნ. აშშ დოლარი) 2020 წელს 113.4 მლნ. ლარამდე (41 მლნ. აშშ დოლარი) გაიზარდა, საიდანაც ყველაზე დიდი წილი (91%) ყურძნის სუბსიდირებაზე მოდიოდა. 2021 წელს მთავრობამ განაგრძო ღვინის სექტორის აქტიური მხარდაჭერა და შესაბამისი სახელმწიფო დანახარჯები 2020 წელთან შედარებით 44%-ით გაიზარდა. დანახარჯების ყველაზე დიდი წილი (90%) კვლავ ყურძნის სუბსიდირებაზე დაიხარჯა.



დიაგრამა 3. გადამუშავებული ყურძნის რაოდენობა და სახელმწიფო დანახარჯები ღვინის სექტორში (2014-2021)



წყარო: საქართველოს ფინანსთა სამინისტრო, საქსტატი, ავტორთა გამოთვლები, 2022

2022 წელს საქართველოს მთავრობამ განაგრძო ყურძნის წარმოების სუბსიდირება, რათა დაეხმაროს ფერმერებსა და ღვინის მწარმოებლებს თავიანთი პროდუქციის გაყიდვაში. „რთველი 2022-ის“ ფარგლებში, ღვინის კომპანიები იმ შემთხვევაში მიიღებენ სუბსიდიას, თუ სულ მცირე 100 ტონა რქაწითელს ან კახურ მწვანეს შეიძენენ და გადაამუშავებენ და 1კგ აღნიშნულ ჯიშის ყურძენში სულ მცირე 0.90 ლარს გადაიხდიან. ასეთ შემთხვევაში, გადახდილი 0.90 ლარიდან 0.35 ლარი სუბსიდირებული იქნება (ISET-ის კვლევითი ინსტიტუტი, 2022). გარდა ამისა, ალექსანდროპოლისა და მუჯურეთულის ჯიშის ყურძნებზე (ჩრდილო-დასავლეთ რაჭა-ლეჩხუმის და ქვემო სვანეთის რეგიონში არსებული ხვანჭკარის „მიკროზონაში“ მოყვანილი უნიკალური ყურძნის ჯიშები) ყოველ კილოგრამზე გათვალისწინებულია 4 ლარის სუბსიდია იმ შემთხვევაში, თუ შემსყიდველი კომპანია, სულ მცირე, 7 ლარს გადაიხდის თითოეულ კილოგრამში (საქართველოს მთავრობის ადმინისტრაცია, 2022). მთლიანობაში, 2022 წელს ყურძნის სუბსიდირებაზე დაახლოებით 150 მლნ. ლარი (54.2 მლნ. აშშ დოლარი) დაიხარჯა.

რეკომენდაციები

მიუხედავად იმისა, რომ ღვინის ეროვნულმა სააგენტომ სხვადასხვა ტიპის ისეთი მხარდაჭე-

რის პროგრამები უნდა განახორციელოს, როგორებიც ხარისხის კონტროლი, ბაზრის დივერსიფიკაცია, ღვინის პოპულარიზაცია და კვლევა და განვითარებაა, ეს სფეროები არ ფინანსდება, რადგან სააგენტოს ბიუჯეტის უდიდესი ნაწილი ყურძნის სუბსიდირებაზე იხარჯება. ზოგადად, საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ სუბსიდიები მნიშვნელოვან როლს თამაშობს მეღვინეობის სექტორის აღდგენაში (მამარდაშვილი და სხვ., 2020). თუმცა, იქიდან გამომდინარე, რომ 2008 წლიდან მუდმივად ხდება სექტორის სუბსიდირება, საქართველოში ყურძნის ბაზარზე წონასწორობა მნიშვნელოვნად დარღვეულია. ფასების ფორმირება ხდება არა მოთხოვნა-მიწოდების, არამედ სუბსიდიების საფუძველზე. ზოგადად სუბსიდიები ეხმარება ინდუსტრიებს გადარჩენ კრიზისების დროს კრიტიკულ ვითარებაში, მაგრამ მთლიანობაში სუბსიდირება ხელს უშლის პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებასა და ბაზარზე ჯანსაღ კონკურენციას. სუბსიდიები იწვევს ჭარბ წარმოებას, სახელმწიფო ხარჯების არაეფექტიან გადანაწილებასა და გარკვეული დარგებისთვის უპირატესობის მინიჭებას (დეისაძე, გელაშვილი და კაცია, 2020). წლების განმავლობაში სექტორის სუბსიდირების შემდეგ, ძნელია სუბსიდირების მექანიზმის გაუქმება და ამით გამოწვეულ სოციალურ და პოლიტიკურ შედეგებთან გამკლავება.

სექტორის მდგრადი განვითარების ხელშეწყობის მიზნით, რეკომენდებულია:

1. პირდაპირი სახელმწიფო სუბსიდიის ჩანაცვლება სხვა ტიპის მხარდაჭერით (ასეთის საჭიროების შემთხვევაში), რომელიც მიმართული იქნება სექტორში არსებული იმ სისტემური გამოწვევების დაძლევისკენ, რომლებიც ვაზის ადგილობრივი ჯიშების კვლევისა და განვითარებასთანაა დაკავშირებული.
2. ქართული ღვინის უფრო მეტი პოპულარიზაცია საერთაშორისო ბაზრებზე საექსპორტ-



ტო დანიშნულების ბაზრების დივერსიფიკაციის და, აგრეთვე, დამოკიდებულების შემცირების მიზნით ისეთ არასტაბილურ ბაზრებზე, როგორც რუსეთის ბაზარია. მიუხედავად იმისა, რომ ბოლო წლებში ღვინის ექსპორტიორები ახალ ბაზრებზე შევიდნენ, ამ ბაზრებზე მათი პოზიციების შემდგომ გასაძლიერებლად მნიშვნელოვანია:

- მაღალი ხარისხის წარმოების უზრუნველყოფა მწარმოებლების მიერ სურსათის უვნებლობის სტანდარტების დაცვით;
- დარგის გაციფრულების ხელშეწყობა ისეთი სერვისების განვითარებით, როგორცაა ელექტრონული სერტიფიცირება ვაჭრობისა და დისტრიბუციისათვის, ბლოკჩეინ ტექნოლოგია მარტივი მიკვევადობისთვის და ხელშეკრულების გაფორმებისათვის, ელექტრონული ეტიკეტები, რომლებიც უზრუნველყოფენ ვრცელ ინფორმაციას ღვინის შესახებ და ა.შ., რაც საშუალებას მისცემს მწარმოებლებს იყენონ კონკურენტუნარიანები და იმუშაონ დინამიკურ გარემოში (Tach, 2021);
- ნიშური ბაზრების იდენტიფიცირება (მაგ., ბიოდინამიკური ღვინო) და ინოვაციების მხარდაჭერა გრძელვადიან პერიოდში სექტორის კონკურენტუნარიანობის უზრუნველყოფისთვის (დეისაძე და ლივნი, 2016).

გამოყენებული ლიტერატურა

- Administration of the Government of Georgia. (2022). "Gov't releases updated conditions for vineries in grape harvest subsidies"
- Deisadze, S., Gelashvili, S. and Katsia, I. (2020). "To subsidize or Not to Subsidize Georgia's Wine Sector?", *ISSET Economist Blog*.
- Deisadze, S. and Livny, E. (2016). "Back to the Future: Will an Old Farming Practice Provide a Market Niche for Georgian Farmers?", *ISSET Economist Blog*.
- GeoStat. (2020). Statistics of food balance sheets, retrieved from: <https://www.geostat.ge/en/modules/categories/297/food-security>
- Mamardashvili, P., Gelashvili, S., Katsia, I., Deisadze, S., Ghvanidze, S., Bitsch, L., Hanf, J. H., Svanidze, M. and Götz, L. (2020). "The Cradle of Wine Civilization"—Current Developments in the Wine Industry of the Caucasus". *Caucasus Analytical Digest (CAD)*, Vol 117.
- Granik, L. (2019). "Understanding the Georgian Wine Boom". *SevenFiftyDaily*.
- ISSET Policy Institute, 2022. "Agri Review October 2022"
- Ministry of Finance of Georgia. (2022). Statistics of State Budget, retrieved from: <https://www.mof.ge/en/4537>
- National Wine Agency (NWA). (2022). Main activities the agency, retrieved from: <https://wine.gov.ge/En/Page/mainactivities>
- Tach, L. (2021). "What Are the Future Digital Technology Trends in Wine? New OIV Study Reveals Answers". *Forbes*.





სალომე გელაშვილი

ISET-ის კვლევითი ინსტიტუტი
s.gelashvili@iset.ge

სალომე გელაშვილი ISET-ის კვლევითი ინსტიტუტის წამყვანი ეკონომისტი სოფლის მეურნეობისა და სოფლის განვითარების პოლიტიკის მიმართულებით. სალომე ხელმძღვანელობს მიმართულების ყველა კვლევით პროექტსა და რეგულარულ ანალიტიკურ პუბლიკაციას. მისი კვლევითი ინტერესებია სოფლის მეურნეობის ეკონომიკა, განვითარების ეკონომიკა და მაკროეკონომიკა. სალომე თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის (თსუ) ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრი და თსუ ეკონომიკის საერთაშორისო სკოლის (ISET) მაგისტრია.



სალომე დეისაძე

ISET-ის კვლევითი ინსტიტუტი
s.deisadze@iset.ge

სალომე დეისაძე ISET-ის კვლევითი ინსტიტუტის სოფლის მეურნეობისა და სოფლის განვითარების პოლიტიკის მიმართულების ხელმძღვანელის მოადგილეა. არაერთი კვლევითი პროექტის პარალელურად, სალომე აგრო მიმოხილვის თანაავტორია და ადგილობრივ და საერთაშორისო ბაზრებზე მიმდინარე სურსათის ფასების ცვლილებებზე წერს. აგრო მიმოხილვის თანაავტორია და ადგილობრივ და საერთაშორისო ბაზრებზე მიმდინარე სურსათის ფასების ცვლილებებზე წერს. მისი კვლევითი ინტერესებია სოფლის მეურნეობის ეკონომიკა და სოფლის განვითარება. ამჟამად სალომე თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის (თსუ) დოქტორანტია. 2016

წელს სალომე თსუ ეკონომიკის საერთაშორისო სკოლის (ISET) ეკონომიკის მაგისტრი გახდა.



ელენე სეთურიძე

ISET-ის კვლევითი ინსტიტუტი
e.seturidze@iset.ge

ელენე სეთურიძე ISET-ის კვლევითი ინსტიტუტის სოფლის მეურნეობისა და სოფლის განვითარების პოლიტიკის მიმართულების მკვლევარია. არაერთი კვლევითი პროექტის პარალელურად, ელენე მომხმარებელთა განწყობის ინდექსის (CCI) ყოველთვიურ ანგარიშებისა და აგრო მიმოხილვის ვაჭრობის სტატისტიკის ნაწილის მომზადებაზე პასუხისმგებელია. მისი კვლევითი ინტერესებია სოფლის მეურნეობის ეკონომიკა და განვითარების ეკონომიკა და ქცევითი ეკონომიკა. 2018 წელს ელენე თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის (თსუ) ეკონომიკის ბაკალავრი, 2020 წელს კი თსუ ეკონომიკის საერთაშორისო სკოლის (ISET) ეკონომიკის მაგისტრი გახდა.

freepolicybriefs.com

აღმოსავლეთ ევროპისა და განვითარებადი ეკონომიკების კვლევის ფორუმი (FREE Network) არის აღმოსავლეთ ევროპისა და ყოფილი საბჭოთა კავშირის ეკონომიკის აკადემიური ექსპერტების ქსელი, რომელიც აერთიანებს შემდეგ კვლევით ორგანიზაციებს: BEROC (მინსკი), BICEPS (რიგა), CEFIR (მოსკოვი), CenEA (შჩეცინი), KEI (კიევი), SITE (სტოკჰოლმი). FREE Network-ის ყოველკვირეული კვლევითი დოკუმენტების სერია მკითხველებს სთავაზობს აღმოსავლეთ ევროპისა და განვითარებადი ბაზრების ეკონომიკური პოლიტიკის საკითხების კვლევაზე დაფუძნებულ ანალიზს. კვლევით დოკუმენტებსა და სხვა პუბლიკაციებში გამოთქმული მოსაზრებები ავტორების პოზიციას გამოხატავს და შეიძლება არ ასახავდეს FREE Network-ისა და მისი კვლევითი ინსტიტუტის პოზიციას.

